

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ირაკლი ბონდარენკოს შეფასების შედეგი:

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წერთხა	5	5
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	93	100

ლევან ნემსაძე

6 7023

თარიღი: 22. 07. 2024



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ
კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ირაკლი ბონდარენკოს

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 2 ივნისის №1/53 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ირაკლი ბონდარენკო. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისად სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც დეტალურად გავეცანი. 2024 წლის 17 ივნისს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის³ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი ირაკლი ბონდარენკო, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი 48 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, სტუ). სპეციალობით მუშაობს 25 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ 15 წელი და 1 თვე, კერძოდ:

- 1998-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, სპეციალისტის, წამყვანი სპეციალისტის, მოსამართლის თანაშემწის და მთავარი მრჩევლის თანამდებობებზე;
 - 2007-2009 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი;
- 2009 წლის ივნისიდან დღემდე მოსამართლეა, კერძოდ - უფლებამოსილებას ახორციელებდა: 2009-2011 წლებში - ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში; 2011-2017 წლებში - სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (იყო სასამართლოს თავმჯდომარეც); 2017-2022 წლებში - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში; 2022 წლის მარტიდან დღემდე - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში; არის იმავე სასამართლოს თავმჯდომარეც.

ადსანიშნავია, რომ 2017–2021 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები მას დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აუმჯოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, ინფორმაციები მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით, მისი უვადო მოსამართლედ განწესებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იყი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდაჭერი, შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვთ მიმდინარე სესხი. კანდიდატის საკუთრებად რეგისტრირებულია საცხოვრებელი ბინები: 86.3 მ² ფართით ქ. თბილისში და 50 მ² ფართით ქ. ბათუმში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგრადარციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი 2 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის (საგზაო მომრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

სასამართლოში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს; ის არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

შოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 96.5% შემთხვევაში; ასევე - საქმეთა 57,9% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადებიც; მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უკვლელი დარჩა საქმეთა 92.9% შემთხვევაში.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ 2 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება და 1 საქმეზე გამოტანილი განჩინება, რომელთა შესწავლით ირკვევა, რომ გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული, მსჯელობა არის თანმიმდევრული და დამაჯერებელი.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: სამუშაო შეხვედრა - „შრომით დაცებზე კოვიდ-ის გავლენა და საქართველოში სასამართლო დავები 2020 წლის შრომის სამართლის რეფორმის შემდეგ“; ძირითადი ტენდენციები და პერსპექტივები“; „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე“; „დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები“ და ა.შ.).

კანდიდატს 2007 წელს ჩატარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

სამი წლის განმავლობაში კანდიდატს აქვს ჩადენილი მხოლოდ 2 სამართალდარღვევა, თუმცა „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“ ბევრ სხვა კომპონენტსაც მოიცავს, როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ. (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდა) კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მივიჩნიე, რომ ირაკლი ბონდარენკო აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა, არის პრინციპული, მიუკერძოებელი პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, არის - სამართლიანი. ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარე მივიჩნიე, რომ იგი აკმაყოფილებს, „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატთან საჯარო მოსმენისა და ასევე მის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ კანდიდატს შეუძლია ემოციების მართვა, კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, არის თავდაჭერილი და თავდაჯერებული. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატის პიროვნული თვისებებს დადებითად ახასიათებენ გამოკითხული პირები. აქვს მაღალი რეპუტაცია და ავტორიტეტი, როგორც კოლეგა მოსამართლებში, ასევე სასამართლოს აპარატის თანამშრომლებში, იურიდიულ წრეებში. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს, „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის შევითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური. კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, ანალიზის კარგი უნარი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ეფუძული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა. კანდიდატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია სწორად.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მის მიმართ დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები ზოგიერთ შემთხვევაში იყო ხარვეზიანი. თუმცა მნიშვნელოვანი დარღვევები და უზუსტობები მის პასუხებში არ დაფიქსირებულა.

შესაბამისად, კანდიდატი, მის მიმართ დასმული შეკითხვების სირთულის მიხედვით „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით შევაფასე 19 ქულით.

კანდიდატს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, ანალიტიკური აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის კარგი უნარი. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა ლოგიკური, თანმიმდევრული და აღქმადია. კანდიდატს გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის უნარი; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევებში ადგილი აქვს მცირე პუნქტუალურ ხარვეზებს.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით.

კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია აღვნიშნო, რომ მეტყველებს გამართულად, მსჯელობს ლოგიკურად, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოცემს. აქვს კარგი უნარი მოსაუბრესთან დაამყაროს ეიზუალური კონტაქტი, რაც საუბარს მეტად დამაჯერებელს ხდის. აქვს უნარი სხვისი აზრის მოსმენისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ზეპირი კომუნიკაციის უნარი“-ს მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 14 ქულით.

კანდიდატის შესახებ მომიებული ინფორმაციისა და შასთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს საქმის ჯეროვნად მომზადების უნარი, არის მიზანდასახული და შრომისმოყვარე. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში არის სათანადო. აქვს კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევები და უნარი სტრუქტურულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობისა.

ამდენად მივიჩნიე, რომ კანდიდატი პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 14 ქულით.

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობს ხშირად; გააჩნია სათანადო ინტერესი ცოდნის, ახალი გამოცდილებისა და უნარების შემცნისა. არის

მოტივირებული და ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მასთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ არის შრომისმოყვარე და ღიაა სიახლეების მიმართ.

განდიდატი „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 5 ქულით.

კანდიდატი ამ ეტაპზე არ ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. თუმცა, მას გააჩნია მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, სხვადასხვა დროს იყო სხვადასხვა სასამართლოს თავმჯდომარე და გამომდინარე აქედან ის აქტიურადაა ჩართული მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში; იჩენს ინიციატივას და აყენებს ასალ იდეებსა და წინადადებებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 5 ქულით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს მივანიჭე - 93 ქულა.

ხელმოწერა

6789

თარიღი

22.07.2024